ალფა

საბანკო (საავანსო) გარანტია N BG 00530

ქ.თბილისი

გაცემის თარიღი: 08.02.2018 წელი

გარანტი: სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ (ს/კ 204568896);
პრინციპალი: ააიპ ,,მცხეთა–მთიანეთის ჭიდაობის რეგიონალური კავშირი", ს/კ 236095523;
ბენეფიციარი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, ს/კ 236099789;
საგარანტიო თანხა: 1 090.00 (ერთი ათასოთხმოცდაათი) ლარი;
საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა: საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის მიერ პრინციპალის სს „ლიბერთი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე N GE80LB0115150325421000 საავანსო თანხის სრულად ჩარიცხვისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე უპირობო და გამოუთხოვად საბანკო გარანტიის ბენეფიციართან წარდგენის შემდეგ ავანსის თანხა სრულად არ იქნება ჩარიცხული პრინციპალის აქ მითითებულ ანგარიშზე, საბანკო გარანტია გაუქმებულად ჩაითვლება.
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: 2018 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.
გარანტიის გაცემის საფუძველი: 2018 წლის 07 თებერვალს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის გაფორმებული N 25/გ ხელშეკრულების (ქალაქ ყვარელში ჩასატარებელ, სკოლამდელ ასაკთა შორის საქართველოს ჩემპიონატზე ჭიდაობაში სპორცმენთა მონაწილეობის ორგანიზება) თანახმად საავანსო გადახდის უზრუნველყოფა.
გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: გარანტი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, წინამდებარე საბანკო გარანტიის პირობების გათვალისწინებით, ბენეფიციარისგან გადახდის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, გადაუხადოს მას თანხა ან/და თანხები, რომლებიც ჯამში არ აღემატება საგარანტიო თანხის (1 090.00 ლარი) ოდენობას.
გარანტიის თანხის მოთხოვნა: გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა მოხდება მხოლოდ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით საავანსო გადახდასთან დადგენილი ვალდებულებათა შეუსრულებლობისას ან არასრული შესრულების შემთხვევაში. ბენეფიციარმა გარანტს უნდა წარუდგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი მოთხოვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა და აღწერილი თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა. მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარედგინოს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხაზე გარანტის მიერ მიიღება მხოლოდ წინამდებარე გარანტიის მოქმედების პერიოდში.
მოთხოვნა უნდა ჩაბარდეს გარანტს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N16, კანცელარიის სამსახურში, სამუშაო საათებში (09.00–დან 18:00–მდე). მოთხოვნის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება მოთხოვნის თანდართული დოკუმენტებით უშუალოდ გარანტისათვის ჩაბარების თარიღი. დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.
საგარანტიო თანხის შემცირება: საგარანტიო თანხის დაქვითვა მოხდება პრინციპალის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების ოდენობით. საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდება, ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი საგარანტიო თანხების ოდენობით.
გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე წყდება:

- წინამდებარე გარანტიით განსაზღვრულ ვადაში ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობით;
- გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.
- საგარანტიო თანხის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველია გარანტსა და პრინციპალს შორის 2018 წლის 08 თებერვალს გაფორმებული საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ N BG 00530 ხელშეკრულება.

მარიამ გუჯაბიძე ---------------------------ბ.ა.

სპეციალური რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი